საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი 22 მარტი 1919 წ. პროლეტარო ყო ყველა ქვეყანისა, შეერთდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეფბეა

ფასი 75 კაპ.

გამოდის დიდის 1 ოდან 18 მანდილი ფასია წელიწადში ექვდან 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც ბირველ გვერდზე, ისე შემდგომზე: ტეტრის სტრიქონი—1 მან., ხუთგულიანი განცხადება 20 მან. ხაჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას ერთ ფურცელზე ფიფლის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება, დაუბეჭდავ ხელნაწერთ, ნასიელ რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც პიროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლებს.

ადგილობრივ ბეჭდვა: თბილისი, ფოსტის № 199 გან. „ალეფბეის“ რედაქცია სხვა გამოცემებზეთ ფულს რედაქცია ვერ აღებულია ბირველი ნოლამბარამდე 10—12 საათამდე. რედაქციის ადრესი: ადგილი, ბოლოვანის ბრალმდ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 65

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გულმოკლულნი მვილი გერონტი და რძალი ანნა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს საყვარელი და ძვირფასი დედის

ეფროსინე (ფოცია) ნარიმანის ასული ბილასონიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი შაფათს 22 მარტს სადამის 7 საათზე მიცვალებულის ბინაზე. დასაფლავება ბეზე (ბონჩარნის ქუჩა № 2) ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ფიდა სოფიო, ძმა ვასილი, ფეხი: ვერა, ოლგა და ლუბა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

გიორგი ვასილის ძე ფარმიაშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 23 მარტს, დღ ით კუკიის, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დიდის 10 საათ. იუნრეგის ქ. № 43.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: ალექსანდრე, ვალოდია, ალფასი, სოფ. მელენტი, ნინა და სოფიო, რძლები: ლონი, ნიმფიდა, ეკატერინა და ლიუდმილა გოგუაძენი, სიძეები: პავლე მაბარაძე და ილია ვალაბერიძე, მაზლი ფოკა და რძალი ფანი, წუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 მარტს ქ. თფილისში გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუფიწყარი

ელისაბედ საუკარელის ასული გოგუაძისა

ცხედარს წაასვენებენ, თუ ლისის სადგურიდან ს. ვანკათში (გურია) 22 მარტს საღამოს 5 საათზე (გამოსვენება რკინის გზის მოსამსახურეთა ბინა № 10, სადგურთან. დასაფლავება მოხდება 25 მარტს დღითა სამშობლოს ს. ვ ნკათში (გურია). (2—1)

უტრმეს მწუხარებაში ძყოფნი ძმა ვასილი, ძეები: კაპიტონ და ეფრემ გიორგაძეები, დები: მინადორა, ვალასი, კესარია, დონა და ნინა, სიძეები: სიმსონ ბერაძე და დიმიტრე ხიმეიშვილი, ნათლია დარასპან გიორგაძე, აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფას და დაუვიწყარ პირველი შვილის

მეორენი ძმის

ვარლამ (ლიუდიკ) ვასილის ძე გიორგაძის

მარტს ახალი სტილით სოფ. ჯვარცხმაში (გურია) ჯვარცხმა დღეთაგების ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებული შვ ლები: სარო და ანეთასფილ, სიძე ილია სეფერთელაძე, შვილისშვილები: ალექსი, გიორგი და თამარა შეწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბაქაში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ეკატერინე (კატო) ალექსანდრეს ასული მერაგაშვილისა

თავისუფალი ეკონომია

ომმა და რევოლიუციამ დაანგრია ნორმალური მსოფლიო წარმოების. საქონლის რაოდენობა შემცირდა. წინეთ დამზადებული დაილია, ახალის დამზადება ნელის ნაბიჯით მიდის. აქედან იბადება დიდი ნაკლულოვანება ყოველგვარ ნაწარმოების.

ვინც საქმეში ჩახედული არ არის, ყველა ამაში ახალ თაობას სდებს ბრალს, ზოგი კიდევ მთავრობის სისუსტეს ხედავენ საქონლის სიმცირეში, მაგრამ ვინც საქმეში დაკვირვებულია, იცის, რომ საქონელი დღეს აკლია მთელ ევროპას, ყველა სახელმწიფოებს, რომელნიც ომში ჩაებენ, გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ ამერიკა, რომელმაც ხმალი გვიან აიღო ხელში და მოკლე წლების განმავლობაში მხოლოდ დამმზადებელ-მიმწოდებელი იყო მთელი ევროპისთვის ყოველგვარი მასალის.

აქედან ცხადია, რომ საქონლის ნორმალურ ტრიალს დაწყებას უნდა მოველოდეთ—მხოლოდ მ ოფლიო წარმოების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის დღიდან, ე. ი. როცა მრეწველობა სამხედრო წარმოებიდან სამოქალაქო სამუშაოზე გადავა.

საქართველო თავის მხრივ მოკლებული იყო დღემდე მრავალ დარგს წარმოებისას, იგი თითქმის ყოველგვარ საქონელს უცხოეთიდან იღებდა. დღეს უცხოეთი კი საქონელს ადარ იძლევა, ან თუ იძლევა ძალიან მცირეს და სპეკულიანტურ ფასებში.

ახლა, მაშასადამე, უცხოეთში საქმის გამოსწორებამდე, ჩვენში საქონლის სიიაფე და სიმრავლე არ იქნება.

ევროპის სახელმწიფოები ჯერ თავის შინაურ ბაზარს ავსებენ საქონლით, შემდეგ უცხოეთში, ე. ი. ჩვენშიაც გამოიტანენ. ამას კი ესაჭიროება დრო და მისვლა-მოსვლის ნორმალური პირობების შექმნა.

ადგილობრივ მთავრობას და ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებს ამ საკითხში უმთავრესათ პასიური როლი ეკუთვნით. აქტიურობისათვის ამ ძალიან მცირე ასპარეზია, უცხოელ მესიეებიან მოლაპარაკება და მეგობრული განწყობილების დამყარება, რასაკვირველია, ხელის შემწყობი მოვლენაა ვაჭრულ ურთიერთობის გამოსაკოცლებლათ, მაგრამ არა გადამჭრელი დღევანდელი პირობებში.

ჩვენ ბაზარზე გამოიტანოს და არ დასაბალის, იგი უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მის საქონელს რეკვიზიციას არავინ გაუკეთებს, იძულებით დაკლებულ ფასებში არავინ ჩამოართმევს. ესე იგი უნდა განსორციელებულ იქნეს პურის თავისუფალი ვაჭრობა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა წვრილი მეურნეობაა. ბოლოშუნებს აქ ვერ შევხვდებით, ისათას ფუთობით ერთ მემამულესთან ხორბალს ვერ იშოვნით. ათ და ოც ფუთობით რეკვიზიციის მოხდენა კი სიზიფის შუშაობაა, ენაყოფი და თან ხალხის შემწუხებელი. ამიტომ ჩვენ აქ სახელმწიფოს მხოლოდ ერთგვარ ჩარევას ვურჩევთ, მასაც შეუძლია იყოდოს ისე, როგორც ყოველ სხვა ვაჭარს.

უნდა შეეკალათ მაღლებულ იქნეს ხოლოდ ერთი შეხედულება: მიკრძალოს საზღვარგარეთ პურის გატანა. საეჭვოა, ეს საქონელი ჩვენ არ მოგვეპოვება. მართალია ჩვენს ზოგიერთ მეზობელ ადგილებში პურის ნაკლებობაა, მაგრამ მათ უნდა შეიძინონ ის იქ, სადაც პური სჭარბობს, სადაც ის ბევრია, და არა ჩვენში, სადაც თავის პური თვითონაც არ გვყოფნის.

დანარჩენი შეხედულება პურის ვაჭრობის გამოიწვევს მხოლოდ პურის გაძვირებას, უაზრო რეკვიზიციებს, გაძვირებას, ბიმბილს და სხვა შედეგებს, რომელნიც შემდეგ ოპოზიციონური პარტიები ჩვენს წინააღმდეგ საბოტაჟიოთ მასალათ გამოიყენებენ.

რისთვის იფიცებიან?

გაფიცვა ერთ-ერთი უძლიერეს იარაღთაგანია მუშათა კლასის ხელში: ამ იარაღით არა ერთხელ მოუპოვებია მას გამარჯვება, არა ერთხელ გაუუმჯობესებია თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

ერობების და ქალაქის თვითმართველობების მოსამსახურეები ჯერ კიდევ ძველ წყობილების დროს განსაკუთრებულ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. და მათი გაფიცვა იშვიათი მოვლენა იყო: თვითმართველობები შეძლების და გვარათ ცდილობდენ მორიგებით საქმის გათავებას.

სულ სხვა ხნე დასჩემდა ქალაქ თფილისს თვითმართველობის მოსამსახურეებს, რომელნიც თითქოს საბაბს ეძებენ, რომ ქალაქთან კონფლიქტი გამოიწვიონ და, საჭიროა თუ არა, მაინც გაფიცვას მიმართონ. ამას ამტკიცებს ქალაქის მოსამსახურეთა დელეგატების კრების დადგენილება, რომელიც მათ 20 მარტს მიუღიათ: ამ დადგენილების თანახმათ ამ თვის ოცდა ოთხიდან ქალაქის მოსამსახურეებმა მუშაობა უნდა აღკვეთონ.

რამ გამოიწვია ასეთი დადგენილების მიღება? იქნებ ქალაქის გამგეობის ჯუტობამ და მოსამსახურეთა ინტერესების აბუჩად აგდებამ? გადასდგეს თუ არა მოსამსახურეებმა საჭიროა ნაბიჯები საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლათ?

საქმის მსჯელობის გაგრძელებას იმ უტყარ დასკვნამდე მიგვიყვანთ, რომ მოსამსახურეთა დადგენილება ოდნავათაც არ არის გამოწვეული მათი მდგომარეობით: ქალაქმა მისცა ის, რისი მიცემაც კი შეეძლო. მოსამსახურეებს დღეს საადოდ გაუხდიათ ხხოლოდ ჯამაგირის მიცემის ვადა: მისაცემია ხხოლოდ თებერვლის და მარტის ჯამაგირი, რასაც მოსამსახურენი დაუყოვნებლივ ითხოვენ, ხოლო ქალაქს შეეძლია მისცეს პირველ აპრილიდან. მაშასადამე, საადოა მხოლოდ რადაც ერთი კვირა.

ეს გარემოება კარგათ გაითვალ სწინა კავშირების ცენტრალურმა საბჭომ, რომელმაც უარყოფითი პოზიცია დაიჭირა გაფიცვისადმი. მაგრამ მიუხედავათ ამისა დელეგატთა ყრილობას მაინც გაფიცვის გზა აურჩევია.

სიგიდნიეროთ, მოსამსახურეთა უფრო დემოკრატიული ნაწილი არ უერთდება ამ გაფიცვას: უარს ამბობენ წყალსადენის, ტრამვაის და სასაკლაოს მუშა-მოსამსახურენი. ცხადია გაფიცვ ს მომხრეთა მთავარ ძალას წარმოადგენენ საავადმყოფოების და თვითმართველობის ცენტრალურ დაწესებულებათა მოსამსახურენი.

არ შეიძლება მათი მიზანი იყოს ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესება, რადგან გაფიცვა მათ დღევანდელ პირობებში ვერაფერს მისცემს, გარდა ქალაქის ცხოვრების არევ-დარეგისა.

ეს გარემოება კარგათ უნდა გაითვალისწინოს ქალაქის დემოკრატიულმა თვითმართველობამ და დემოკრატიის მტრებს შესაფერი პასუხი გასცეს.

ჩვენ მოვუწოდებთ მოსამსახურეთა იმ რესებს ანგარიშს უწევს: ნუ გადასდგებიან ისეთს ნაბიჯს, რომელიც მათ არაფერს შესძენს, ხოლო საერთო საქმეს კი დაამბრკოლებს.

ბრესა

„ეროვნული ძალი“ (№ 59) ეუბნება სომეხ-ქართველთა კონფერენციას და, სხვათა შორის, სწერს:

„კონფერენციას ტ დაუდგენია მიუღია განმარტებანი, რომლების საშუალებით გაუმჯობესდება ორი რესპუბლიკის ურთიერთ დამოკიდებულებანი და საიკეკო არ არას, რომ სამუდამოთ მოიდება ბოლო სადაო კითხვების ძალადობით გადაჭრას.

„წარსულში ორ მეზობელ ერთა დამოკიდებულებანი ისე შეგობრული ყოფილა, რომ თვით დაწყეულილ სომეხ-ქართველთა ომმაც მთელი თავის საშინელებით ვერ შესძლო გამოეთხარა ღრმა და საუკუნო უფსკრული მათ შორის.

„ეხლა დაივიწყეს ეგ დღეები და ორი ერის წარმომადგენლები ამუშავებენ იმ გზებს და საშუალებებს, რომლებშიც უნდა მოგვცენ, რაც ვერ შესძლო და ვერც შეეძლო მოეცა სომეხ ქართველთა ომს.

„კონფერენციის განმარტებანი ორ ნაირია: პირველი ეხება პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, მეგალითად ორივე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ურთიერთ აღიარებას და მათ შორის დიპლომატიური დამოკიდებულებების გაბმულებას. მეორე ნაირი განმარტებანი ეხებიან ორივე რესპუბლიკების ეკონომიურ და შინაგან ხელწესრიგების საკითხებს, როგორიც არის ტრანზიტი, რკინის გზის მიმოსვლა და საქართველოში დარჩენილ სომხეთის ქონების გადაცემა.

„ხედმეტია აქ იმის თქმა, თუ რა ნაირად საჭიროა სწრაფად სისრულეში მოყვანა ყველა იმ ზომების, რომლებიც შეუუშაგნია კონფერენციას. ეხლა კი ზემოხსენებული ზომების მიღებით გაიღება სომხეთის კარები და დამშეულ ხალხს მიეცემა საშუალება ისუნთქოს და იშოვნოს პური.

„დამოუკიდებლობის ურთიერთ ოფიციალურად ცნობა და დიპლომატიური დამოკიდებულობის განხლება შეასრულებენ იმას, რაც აკლდა დღემდე, რომ მშვიდობიანობით და მოლაპარაკებით გადაჭრილიყო ყველა სადავო საკითხები, რათა უკანასკნელები უნდა გადასჭრან საბოლო კონფერენციაზე და მანამდე კი არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ეს, ან ის ნაბიჯი გადადგას, და ეგრე ბოლო მოეღება აგრესიულ მოქმედებას ორივე მხრის მიერ.

„ეი ის დადებითი შედეგები, რომელიც მოგვცა კონფერენციამ. ვიმედოვნებთ, რომ ისინი არ დარჩებიან ქაღალდზე დაწერილი და თავდები იქნებიან მტკიცე მეგობრობისა, რომელიც ორ ერ ისათვისაც“.

საარტაპიზმი გერმანიაში

მაქსიმალიტური მოძრაობა გერმანიაში თანდათან ძლიერდება. ზოგიერთ ქალაქებში სპარტაკელებმა ნამდვილი ომი გამართეს და თავ გამოდებით იბრძვიან. პრუსიის ნაციონალური კრება გარეკეს. ვეიმარის დამფუძნებელი კრება ხიშტების მფარველობით მუშაობს. მიუნჰენში და ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს.

ბალშევიზმი, სპარტაკიზმი, კომუნიზმი—ეს სხვადასხვა სახელია ერთი და იმავე რევოლიუციონური მაქსიმალიზმის. მას მეტათ დრმა ფესვები აღმოაჩნდა მუშათა ზოგიერთ წრეებში და მისი დამარცხება არც ისე ადვილი შეიქნა.

მაქსიმალიზმის უმთავრესი მასაზრდოებელია ომიდგან გამოწვეული საშინელი ეკონომიური. უმაგალითო ომმა ევროპის საშეურნეო ცხოვრებაში უდიდესი ეკონომიური კრიზისი გამოიწვია. კრიზისის შედეგია უმუშევრობა და მასის უკიდურესი სიღარიბე. ყოველივე ეს გაზას უკიფავს და ხელს უწყობს მასის უკიდურესობაში გადატყორცნას.

ამას ვერ აცდა ვერც გერმანია. ის ვერ იხსნა ანარქიისაგან ვერც ისტორიულმა ორგანიზაციულმა გაწვრთნამ, ვერც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრავალი წლების მუშაობამ. შექმნილმა მდგომარეობამ გერმანიის მუშათა კლასის ნაწილი უკიდურესი რევოლიუციონიზმით დათრო და ანარქიის ტალღებს მისცა.

გერმანიაში მოხდა უდიდესი პოლიტიკური გადატრიალება, რომელშიაც უმთავრეს როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია და ეს სრული თავდები იყო იმის, რომ დაცული იქნებოდა მუშათა კლასის ინტერესები. მაგრამ სამეურნეო და ეკონომიურმა არევ-დარევამ თავისი გაიტანა და მუშათა კლასის მცირე, მაგრამ აქტიური ნაწილი დიქტატურის მოტრფიალეთ გახდა, რომლიდგანაც ის მოელის უფრო სწრაფ და უფრო მეტ სარგებლობას, ვინემ დამფუძნებელი კრების ნელი და ორგანიული მუშაობისაგან.

და სანამ გრძელდება ეკონომიური კრიზისი არ უნდა ველოდეთ ამ აქტიური უმცირესობის დამშვიდებას, ყოველივე, რაც ადრმავგვს ამ კრიზისს და ხელს უწყობს დამშეულ ხალხის მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას—აძლიერებს და ანაყარგებს იმ ნიადაგს, რომელზედაც იზრდება და იფურჩქნება მაქსიმალისტური ხელერი. განწყობილება მაქსიმალისტური ხელერი ბოლოს ბოლოს ბოლშევიზმად გადაიზრდება.

სამწუხაროთ დამარცხებული გერმანიის წინააღმდეგ ისეთი ფაქტორები და პოლიტიკა მოქმედებს, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ სპარტაკიზმს და თუ დროზე არ შეიცვალა ეს პოლიტიკა, უეჭველია, სპარტაკიზმი მთელ გერმანიას მოედება და მომხდარი უდიდესი რევოლიუცია ანარქიის ცეცხლში დაიფერფლება.

განი.

საქართველოს გარეშემო

ადერბეიჯანის მუჭარა და ცნობები.

ახალციხეში მომხდარი ამბების გამო ერთის მხრით ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა, ადერბეიჯანი, გვიმუქრება, მეორე მხრით—ისეთ ცნობებს ავრცელებს თავის მოქალაქეებში, რომელთა საშუალებით საზოგადოებრივ აზრს ამზადებს საქართველოს წინააღმდეგ.

ადერბეიჯანის მუჭარა იმაში გამოიხატება, რომ თუ ახალციხის მაზრის მუსულმან მცხოვრებთა დარბევა არ შეგიჩერებიათ, ჩვენ „სხვა ზომებს“ მიმართავთ!..

„ზომების“ ცხოვრებაში გატარების დროს კი საეჭვოა ადერბეიჯანის საზოგადოებრივი აზრი „მუსავატის“ მთავრობის მხარეზე იყოს, მუსულმანი გლეხობა და მუშები იმ ხანებს და ბეგებს უმაგრებენ ზურგს, რომელთა ძმები ახალციხის თუ სხვა კუთხის ქართველ მუსლიმანებში ძარცვიან და საკუთარ საქმეებს აკეთებენ... რომ მათ მიწა შერჩეთ, რომ მუსულმანმა გლეხმა და მუშამ ხანისა და ბეგის მიერ კისრად დადგმული უღელის მოშორება ვერ შესძლო...

დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ამზადებენ საერთოდ მუსულმანობისა, ან რა მიზანს ეკისურება მუსავატის ანუ ბეგებისა და ხანების მოქმედება!..

საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს ვაუწყოთ, თუ როგორი ზზადებაა ამ ნიადაგზე ამ ხანად ადერბეიჯანში.

მოვუსმინოთ მთავრობის გაზეთ „ადერბეიჯანს“. 19 მარტის ნომერში ეს გაზეთი შემდეგს სწერს: „პრესაში მოთავსებულ ცნობებით და ახალციხიდან ჩამოსულ პირთა გადმოცემით ახალციხის რაიონში ამბები ვითარდებოდა შემდეგნაირად: ოსმალეთის ჯარების წასვლის შემდეგ ახალქალაქისა და ახალციხიდან, ალბორა ქითხვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეცნო საქართველოს მთავრობა, ომარ ფაიკ ეფენდის თავმჯდომარეობით შედგა ნაციონალური კომიტეტის კრება, რომელმაც დ დი ხნის კამათის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია საქართველოს მთავრობის ცნობის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად ქართული ჯარები უშიშრად შეეიდნენ წარსული წლის 5 დეკემბერს ქალაქში. მუსულმანი მცხოვრებნი თანაგრძნობით შეხვდნენ ახალ მთავრობას და შეუდგნენ თავის ჩვეულებრივ საქმეებს, იმედი ჰქონდათ რა, რომ მათ ეზრუნველჰყოფდნენ სიმშვიდით, სიიაფით, ხელსაყოფით და ეკონომიური განვითარების შესაძლებლობას მისცემდნენ.

რაზოდენიმე დღის შემდეგ მთავრობამ დაატესა ყველა მუსულმანი გაგლეხნინი პირები და გაგზავნა ისინი თფილისში. რაიონის კომისარებმა, „სტრაჟრიკებმა“ და სალდათებმა შეეიწროება დაუწყეს მცხოვრებთ, „რეკვიზიციის“ შესრულებიდან მათ ქონებას, დაცინოდენ და შეურაცყოფას აყენებდენ მათ. ერთი სიტყვით, წარსულისთვის შურს იძიებდენ. მცხოვრებლებში იზრდებოდა უკმაყოფილება და არა კეთილ განწყობილება.

ქართული რაზმები, რომლებიც ვარსის ოლქის სახლვარზე იმყოფებოდენ, ავიწროებდენ ფოცხოვის რაიონის მცხოვრებლებს მათ ახალციხეში სიარულის დროს და ერთხელ, როდესაც ფოცხოველებს მოჰყავდათ ქალი ქორწილში დაეცნენ მათ და წაართვეს იარაღი. როცა დაინახეს, რომ მუსულმანები მათ ვერ ებრძოლებდენ, მათ გადასწყვეტეს დასცემოდენ ფოცხოვს და ძალით შეერთებინა ის ახალციხისთვის. ფოცხოველები ამაზე არ დაყაბულდენ, წინააღმდეგობა გაუწიეს, თითონ გადავიდენ შეტევაზე და ტყვეულ ჩაიგდეს ქართველების რაზოდენიმე ჯარისკაცი. ქართველთა სამხედრო სარდლობამ ფოცხოველების დასასჯელად გაგზავნა იქ ერთი პოლკი. მაგრამ ფოცხოველები რიცხვით 200—300 კაცი უკაბეგდათ დაეცნენ ამ პოლკს, დაამარცხეს ის და დაიბევნენ ახალციხისაკენ. ქართული ჯარების სარდლობა გადასწყვიტა დასჯა სასტიკად ფოცხოველები და აგრეთვე ახალციხის ის მუსულმანებიც, რომლებიც შეეიღლოდნენ ფოცხოველებს. ფოცხოველების წინააღმდეგ გაგზავნეს 2—3 ათასი კაცი. ხარბაზნებით მოსპეს და გაანადგურეს 3—4 სოფელი. 200—300 ფოცხოველმა მოიწადინა შური ეძია მტერზე, ან შეუშინდნენ არაფერს, გაუმართეს მრავალრიცხოვან მტერს პარტიზანული ომი, დაეცნენ მათ, დამარცხეს ისინი. და აიძულეს ისინი, როგორც დედა-კაცები, გაქცეულიყვნენ ახალციხისაკენ. მას შემდეგ, რაც ფოცხოვის რაიონი ადგილობრივ მცხოვრებთა ბრ წყინვალე გამარჯვების შემდეგ გაწმენდილ იქნა ქართველთა სამხედრო და სამოქალაქო პირებისაგან, ფოცხოვის რაიონში გაჩნდენ ყოველი ჯურის პარტიები, რომლის ხათავეში იდგენენ ბეგები და რომლებიც სცდილობდენ თავიანთი ინტერესების დაცვას. დაიწყო ინტრიგები და პროვოკაციები. იყენენ მათ შორის ისეთი პირებიც, რომლებთაც სიკეთე სურდათ ხალხისთვის. მაგრამ მათ არ ჰქონდათ არც გამოცდილება, არც ორგანიზაცია, არც ხალმეო ცოდნა. ბეგების ინტრიგების გამო ხალხის ერთსულოვნობა ჩ.ჰქრა. ფოცხოვის რაიონის საქმე უკან-უკან წავიდა. მომავლში ათასგვარი გართულება იყო მოსალოდნელი.

ამ დროს მტერმა მოაგროვა ბორჯომში 10 ათასი ჯარი, ისარგებლა რა ფოცხოველების შინაური უთანხმოებით და აგრეთვე მოლალატე ბაბში ბეიშაგოდევის ამბის მიტანით, დაიწყო სოფ. „ალიურზე“ შეტევა და თავისი არტილერიის მეოხებით შარა გზაზე წამოვიდა, სპობდა რა მარჯვნივ და მარცხნივ ყველა სოფლებს.

ეი რასა ვიამბობს ამ დღეებში ჩამოსული ახალციხის მცხოვრები. მუსულმანები არ ჰფიქრობდენ, რომ ქართველები მათ დაეცემოდენ კიდევ და დარაჯება მცირე ჰყოფდათ. მათი ჯარები გრეფდენოდა მეზობელ სოფლებთან მცხოვრებთაგან. სერვერ ბეგმა და მოლალატე ბაბში ბეგის შორის აქტყდარ დავის გამო, ფოცხოველთა ძალები ორად იყო გაყოფილი და დაეიწყებული ჰქონ-

ᲓᲦᲔᲡ

გუშინდელ, 21 მარტის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მოიხმინა ახალი მთავრობის დეკლარაცია. კამათი გადაადო დღეისთვის.

ახალციხის საკითხის გარშემო, როგორც წერილი, ისე სიტყვიერი აგიტაცია ადერბეიჯანში საქართველოს წინააღმდეგ გრძელდება.

ინგლისური პრესის ცნობით ჩვენმა დელეგატებმა კ. ჩხეიძემ და ირ. წერეთელმა ხაუბრის დროს განუცხადეს გაზ. „პტი პარიზიენის“ წარმომადგენელს, რომ საქართველო არ მოითხოვს ტერიტორიალურ დაბომბათ, მას შეხვედრ ძალა თავისი ხალმეები თითონვე მოა ყოს, თხოულობს მხოლოდ, რომ ის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ იქნას ცნობილი.

ახალქალაქის მიმართულებით ხოფ. რუსთავთან ჩვენს მზვერავებს ხროლა აუტეხეს მაღლობებიდან.

ფოცხოვის რაიონის ხოფლებიან ჩვენ. ბორუჩიკმა ყარსის გენერალ-გუბერნატორის სახელით პროტესტი განუცხადა ჩვენი ჯარის ხარდლობას.

ამერიკული პრესის ცნობით ლოიდ ჯორჯას პროექტი იძულებითი ჯარში გაწვევის გაუქმების შესახებ გამოიწვევს წინააღმდეგობას საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და გერმანიის მხრით.

ბალშევიკების ცნობით სამხეთა ჯარებმა ადიხის ახლოს დაამარცხა ბერძენთა ჯარები და მოხალისენი.

დათ გარეშე მტერი. საზღვარზე კი იმყოფებოდა სულ 800 კაცი.

ერთ მშვენიერ დღეს ქართველები ძლიერი არტილერიით და ტყვიამფრქვეველებით მოადგნენ ამ საზღვარს და დაიწყო ომი. 800 კაცმა 3—4 საათის განმავლობაში წინააღმდეგობა გაუწია 3 ათასიან ჯარს. ბოლოს ძლიერი ციცხლით ნაწილი დახოცილ იქნა, დანარჩენი დაიჭრა. ქართველები საზღვარს გადმოვიდენ მხოლოდ ამ გზირების გვამებზე. ამ პირველ შეტაკებაშიც მუსულმანთა მთელი ძალები ამოიწურა. დანარჩენებმა არცკი იცოდნენ ხელრიანად საქმის ვითარება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყუმბარებმა იწყო გასკდომა მათ თავებზე, მიხვდენ, თუ რაშიც იყო საქმე. მათ მეტი არაფერი დარჩენოდათ, დასტოვეს სახლები, ქონება და ბავშვებით გაიქცნენ თოვლიან ტყეებში.

ქართველებმა ციცხლს მისცეს მთელი სოფლები. მცხოვრებლები ტყეებში გაიხიზნენ. ქართველები ყოველ სოფელს ბრძოლით იღებდენ და ჰხოცავდენ მცხოვრებლებს. ის სიმხეცე, რაც აქ ჩაიდინეს ქართულმა ჯარებმა აუწერელია და მუსულმანებმა ეს არც უნდა დაივიწყონ. მუსულმანები არ ფიქრობდნენ და არც ეგონათ, თუ რეგულიარული ჯარები მეგობრულ საქართველოსი ჩაიდენდნენ ასეთ სიმხეცეს უიარაღო მცხოვრებლებზე. 21 ვირსის სიშორეზე, ახალციხიდან ახალციხემდე, 25—30 სოფლის მცხოვრებლები იძულებული იყვნენ გაქცეულიყვნენ ტყეებში და მთებში. როგორც ამბობენ თოვლი ამ მთებში ერთ არშინზეა დადებული და თუ მცხოვრებთ 2—3 დღეში არ მიეცა სახლში დაბრუნების საშუალება, ისინი იქ შიმშილისა და სიცივისაგან დაიხოცებიან (გაქცეულთა რიცხვი უფრის ათიათასია). მთელ ქონებას, ნათესსა და საქონელს იტაცებენ ქართველი ჯარისკაცები და ქართული სოფლების მცხოვრებლები და ბორჯომიდანაც კი მოდიან, რომ ურმებით გზიდონ გაქცეულთა ქონება. როცა დაბრუნდებიან სახლებში, დაიღუპენიან შიმშილისაგან, რადგანაც არაფერი აღარ იქნებათ მათ. ჩემი ბორჯომში ყოფნის დროს, მე ვნახე, თუ როგორ მიჰყავდათ ხაშურში ფოცხოვის რაიონში დატაცებული საქონელი. გზაზე გასავალი აღარაა დატაცებული საქონლით იმდენი ურმები სდგას. ანგორიის მიდამოებში შარა გზის ორივე მხარეს 5—6 დღეა ჰყრია მკვდრები. ეს მკვდრები ძალლებისაგან ისეა დასანჩრებულნი, რომ ვერაო იცნობთ მათ. სოფლებში აღარავინაა, ვინც მათ დამარხვას შეიძლებდა. დარჩენილი მცხოვრებნი იმალებიან, ეშინიანთ სალდათთა ჯგუფებისა, რომლებიც სოფლებში დაძრწიან. თუ რას უშვრებიან ქართველი ბარბაროსები ქალებს, რომლებიც მათ ხელში მოხვდება, როგორ დასცინიან მათ, როგორ აწვალებენ აუწერელია და მეც ვუშავდი თვალებს, რომ არ მენახა ეს საშინელება. როგორც გვიამბობენ სოფლების მდგომარეობა ახალციხიდან ფოცხოვამდე უფრო ტრაგიკულია. მე მეგონა, რომ ყველა ამ სიმხეცეს სჩადიოდა მხოლოდ უკუტორია სალდათები და მაღლიდან მათ არ თანაუგრძნობდენ. მაგრამ გზაში მე გავიგონე ვაგონში, როცა ერთი ქართველი აფიცერი ამბობდა, რომ „უნდა მოისპონ ყველა მუსულმანთა სოფლები, რომ უზრუნველვყოთ ზურგი, აგრეთვე მოისპნენ ყველა მუსულმანები, რომელთაც კავშირი აქვთ ოსმალებთან, და მათ მაგიერ დასახლდენ ქართველები, მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ დაშვიდებული“-ო. და მე გავიგე მაშინ, თუ რაში მდგომარეობს გეგმა საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა მუსულმანთა მიმართ“.

თათარი მუშების მიღოცვა და პროტესტი.

გაზეთ „ადერბეიჯანში“ მოთავსებულია თათარ მუშების მიტინგის რეზოლიუცია. მიტინგი მოწვეული ყოფილა „მუსავატის“ პარტიის მიერ. რეზოლიუცია დეპეშით გადმოუცია თფილისში დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისთვის.

„თათარი მუშების მრავალ ათასოვანმა მიტინგმა, რომელიც მოწვეული იყო რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად და რომელი დღესასწაულიც შეხვდა საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს, მომახლო მე თქვენი სახით მივულოცო ქართველ ხალხს რევოლიუციონური საფეხურის დამთავრება და ახალი პოლიტიკური ხანის დაწყება დამფუძნებელი კრების მუშაობით. მიტინგმა გაარჩია რა ახალციხეში მომხდარი ამბები, თურქის პროლეტარიატი ადერბეიჯანისა თვლის თავის მოვალეობათ, თავისი აღშფოთება გამოსთქვას ახალციხის მუსულმან გლეხთა ტრაგედიის გამო და გამოსთქვამს იმედს, რომ დამფუძნებელი კრება მიიღებს ზომებს, რათა არ იქნას შერყეული ორ მეზობელ, მეგობარ ერთა კეთილი განწყობილება.

მიტინგის თავმჯდომარე ა. კ. კიაზიმ ზადე.

უკანასკნელი ცნობები

საქართველოს დელეგაცია პარიზში.
(ინგლისური პრესის ცნობა).

რუსეთის რევოლიუციის ლიდერები ზერეძე და წერეთელი ჩამოვიდნენ პარიზში, სადაც საზავო კონფერენციას განუმარტავენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. გაზეთ „პტი პარიზიენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მათ განაცხადეს: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დათმობათ. მას შესწევს ძალა თავისი საქმეები თითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნონ სახლები, ქონება და ბავშვებით გაიქცნენ თოვლიან ტყეებში.

ქართველებმა ციცხლს მისცეს მთელი სოფლები. მცხოვრებლები ტყეებში გაიხიზნენ. ქართველები ყოველ სოფელს ბრძოლით იღებდენ და ჰხოცავდენ მცხოვრებლებს. ის სიმხეცე, რაც აქ ჩაიდინეს ქართულმა ჯარებმა აუწერელია და მუსულმანებმა ეს არც უნდა დაივიწყონ. მუსულმანები არ ფიქრობდნენ და არც ეგონათ, თუ რეგულიარული ჯარები მეგობრულ საქართველოსი ჩაიდენდნენ ასეთ სიმხეცეს უიარაღო მცხოვრებლებზე. 21 ვირსის სიშორეზე, ახალციხიდან ახალციხემდე, 25—30 სოფლის მცხოვრებლები იძულებული იყვნენ გაქცეულიყვნენ ტყეებში და მთებში. როგორც ამბობენ თოვლი ამ მთებში ერთ არშინზეა დადებული და თუ მცხოვრებთ 2—3 დღეში არ მიეცა სახლში დაბრუნების საშუალება, ისინი იქ შიმშილისა და სიცივისაგან დაიხოცებიან (გაქცეულთა რიცხვი უფრის ათიათასია). მთელ ქონებას, ნათესსა და საქონელს იტაცებენ ქართველი ჯარისკაცები და ქართული სოფლების მცხოვრებლები და ბორჯომიდანაც კი მოდიან, რომ ურმებით გზიდონ გაქცეულთა ქონება. როცა დაბრუნდებიან სახლებში, დაიღუპენიან შიმშილისაგან, რადგანაც არაფერი აღარ იქნებათ მათ. ჩემი ბორჯომში ყოფნის დროს, მე ვნახე, თუ როგორ მიჰყავდათ ხაშურში ფოცხოვის რაიონში დატაცებული საქონელი. გზაზე გასავალი აღარაა დატაცებული საქონლით იმდენი ურმები სდგას. ანგორიის მიდამოებში შარა გზის ორივე მხარეს 5—6 დღეა ჰყრია მკვდრები. ეს მკვდრები ძალლებისაგან ისეა დასანჩრებულნი, რომ ვერაო იცნობთ მათ. სოფლებში აღარავინაა, ვინც მათ დამარხვას შეიძლებდა. დარჩენილი მცხოვრებნი იმალებიან, ეშინიანთ სალდათთა ჯგუფებისა, რომლებიც სოფლებში დაძრწიან. თუ რას უშვრებიან ქართველი ბარბაროსები ქალებს, რომლებიც მათ ხელში მოხვდება, როგორ დასცინიან მათ, როგორ აწვალებენ აუწერელია და მეც ვუშავდი თვალებს, რომ არ მენახა ეს საშინელება. როგორც გვიამბობენ სოფლების მდგომარეობა ახალციხიდან ფოცხოვამდე უფრო ტრაგიკულია. მე მეგონა, რომ ყველა ამ სიმხეცეს სჩადიოდა მხოლოდ უკუტორია სალდათები და მაღლიდან მათ არ თანაუგრძნობდენ. მაგრამ გზაში მე გავიგონე ვაგონში, როცა ერთი ქართველი აფიცერი ამბობდა, რომ „უნდა მოისპონ ყველა მუსულმანთა სოფლები, რომ უზრუნველვყოთ ზურგი, აგრეთვე მოისპნენ ყველა მუსულმანები, რომელთაც კავშირი აქვთ ოსმალებთან, და მათ მაგიერ დასახლდენ ქართველები, მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ დაშვიდებული“-ო. და მე გავიგე მაშინ, თუ რაში მდგომარეობს გეგმა საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა მუსულმანთა მიმართ“.

თათარი მუშების მიღოცვა და პროტესტი.

გაზეთ „ადერბეიჯანში“ მოთავსებულია თათარ მუშების მიტინგის რეზოლიუცია. მიტინგი მოწვეული ყოფილა „მუსავატის“ პარტიის მიერ. რეზოლიუცია დეპეშით გადმოუცია თფილისში დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისთვის.

„თათარი მუშების მრავალ ათასოვანმა მიტინგმა, რომელიც მოწვეული იყო რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად და რომელი დღესასწაულიც შეხვდა საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს, მომახლო მე თქვენი სახით მივულოცო ქართველ ხალხს რევოლიუციონური საფეხურის დამთავრება და ახალი პოლიტიკური ხანის დაწყება დამფუძნებელი კრების მუშაობით. მიტინგმა გაარჩია რა ახალციხეში მომხდარი ამბები, თურქის პროლეტარიატი ადერბეიჯანისა თვლის თავის მოვალეობათ, თავისი აღშფოთება გამოსთქვას ახალციხის მუსულმან გლეხთა ტრაგედიის გამო და გამოსთქვამს იმედს, რომ დამფუძნებელი კრება მიიღებს ზომებს, რათა არ იქნას შერყეული ორ მეზობელ, მეგობარ ერთა კეთილი განწყობილება.

მიტინგის თავმჯდომარე ა. კ. კიაზიმ ზადე.

უკანასკნელი ცნობები

საქართველოს დელეგაცია პარიზში.
(ინგლისური პრესის ცნობა).

რუსეთის რევოლიუციის ლიდერები ზერეძე და წერეთელი ჩამოვიდნენ პარიზში, სადაც საზავო კონფერენციას განუმარტავენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. გაზეთ „პტი პარიზიენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მათ განაცხადეს: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დათმობათ. მას შესწევს ძალა თავისი საქმეები თითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნონ

ახალციხის ფრონტზე.
(სახხედრო ცნობა)

ახალციხე. 20 მარტი. დღეს ახალციხის რაზმის ფრონტზე მშვიდათ ჩაიარა. მცხოვრებლები იარაღს გვაბარებენ. მესამე პოლკის ბატალიონის სარდლის მოხსენებით მის მზვერავებს, რომელნიც 17, 18, 19 მარტს გაგზავნილი იყვენ ახალქალაქის მიმართულებით, სოფელ რუსთავის და საფარის მონასტრის რაიონში მაღლობებიდან სროლა აუტეხეს. აღგილობრივ მცხოვრებთა ცნობით შეიარაღებული თათრები თავმოყრილი არიან სოფელ რუსთავში და ომარაში. პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

ახალციხის შტაბი. დღეს მშვიდათ ჩაიარა. გუშინ სოფელ სტეფანწმინდაში გენერალ ართქმელაძესთან გამოცხადდა ინგლისის პოლუშიკი ბრინგანი და ყარსის გენერალ-გუბერნატორის სახელით პროტესტი განაცხადა ფოცხოვის რაიონის სოფლების ჩვენი ჯარის მიერ დაჭერის გამო და სთქვა, რომ ჩვენი ჯარის შემდეგი წინსვლა ჩაითვლება ინგლისელთა წარმომადგენლების წინააღმდეგ გალაშქრებათ. გუშინდელ დღე-დანე

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

21 მარტის სხდომა.

ამ სხდომაზე მთავრობის შედგენის შესახებ განცხადება გააკეთა ᲔᲓ. ᲒᲘᲖᲘᲔᲕ ᲙᲝᲠᲜᲘᲐ. მთავრობის შემადგენლობა: თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (უპორტფელოთ), საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი ᲔᲓ. ᲒᲘᲖᲘᲔᲕᲙᲝᲠᲜᲘᲐ. შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების ნოე რამიშვილი, მეწათმოქმედების, შრომის და გზის ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის კონ. კანდელაკი.

ᲔᲓ ᲒᲘᲖᲘᲔᲕᲙᲝᲠᲜᲘᲐ მთავრობის თავმჯდომარის დაგალებით წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც ქვემოდ იბეჭდება. დეკლარაციის შესახებ კამათი იქნება დღევანდელ, 22 მარტის სხდომაზე.

მთავრობის დეკლარაცია.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ასრულდა საქართველოს ერის სურვილი. შესდგა სუვერენული ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშავოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდროს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო დამფუძნებელი კრებისა და პასუხისმგებელი მის წინაშე, მიზნათ ისახავს დემოკრატიის ინტერესთა დაცვას. რევოლიუციის მოსაპოვართა განმტკიცება და გაფართოება დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში—აი ის მთავარი მიზანი, რასაც ენსახურება ახლად შემდგარი მთავრობა. ყველასათვის ცხადია, რომ დემოკრატიული საქართველო არასოდეს არ შეურიგდება პოლიტიკურ მონობას და ჭიდს არ მოიხსნის მოწინააღმდეგეთა წინაშე, რომელნიც მის არსებობას ემუქრებიან.

მართალია, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას წინ კიდევ ძლავალი დაბრკოლება ეღობება. მსოფლიო სამშვიდობო კონგრესს თავისი უკანასკნელი სიტყვა ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ არ წარმოუთქვამს. მაგრამ ჩვენ სრული ემედი შეგვაქვს, ეს ბოლო ბრძოლა, ომი სომხეთთან და ოსმალების აგენტების გამოსვლა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში. ამ მომენტებში დასმული იყო საკითხი ჩვენი არსებობისა, საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წესწყობილობისა.

ქართველი მხედრობა თავგანწირული შეგნებით შეხვდა ამ მომენტებს და თავის სისხლით სახალხო გვარდიასთან ერთად დაიცვა საქართველოს თავისუფლება და დემოკრატიული წესწყობილება. შულავერის და აწყურის ფრონტზე, საჩხერის და ლეჩხუმის მიდამოებში მე პირადათ მოწმე ვიყავი ჩვენი მხედრობის ვაჟკაცობისა და თავგანწირვისა.

ქვეყნის დაცვასთან ერთად, რომელიც მეოდმე ბრძოლას მოითხოვდა, უნდა მოიხდარიყო მთელი სახხედრო სისტემის და ეპარატის განახლება. ამ მძიმე პირობებში თქვენი დახმარებით მე ესეც შევძელი. შექმნილი სამხედრო სისტემა და ეპარატი თვით ცხოვრებამ გაამართლა, მათი მეოხებით თქვენ მტერი რამდენჯერმე შემუსრეთ,—შულავერთან, აწყურ ახალციხესთან და ფოცხოვში.

გზა გაჩარხულია, მიზანი აღებულია, საშუალება გამოძებნილია. თქვენ დაინახეთ შეერთებული დისციპლინალური ძალის აუცილებლობა და ძალევა მოსილება, თქვენ იგემეთ სიტკბოება მოვალეობის ასრულებისა; თქვენ მსხვერპლი გაიღეთ და განიცადეთ გრძნობა გამარჯვებულისა.

ვინც თავის მოვალეობის აღსრულების დროს დაიღუპა, მათ ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკ.

თქვენ კი, ქართველო მხედრობავ, დღეს, როდესაც მე თქვენ ხელმძღვანელობას თავს ვანებებ, სამშობლოს სამსახურისათვის მადლობას გიძღვნით და იმედი მაქვს, რომ თქვენ აწიც მუდამ ნნათ იქნებით საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

სამხედრო მინისტრმა წაიკითხა შემდეგი დეპეშები გაუგზავნა:

სოხუმის სახალხო გვარდიის შტაბს: ესტოვეთ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, გთხოვთ გადასცეთ გვარდიას ჩემი მადლობა რესპუბლიკის დასაცავათ თავგანწირულ მოქმედებისთვის. სულით და გულით ვუსურვებ ჯარს და გვარდიას ძმურ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედებას კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების ჩაქრობის და რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ თავის დეპეშის პასუხად ახალციხეში მყოფ გენერალ გედევანიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: თქვენი ხელმძღვანელობა საქართველოს ჯარებისა იმ მძიმე მომენტში, როცა საქართველოს მძიმე წუთები უდგებოდა და უ დებოდა ბრძოლები არსებობას შენარჩუნებისთვის, სამარადისოდ დარჩება ქართველი ერის ხსოვნაში, როგორც ერთგულებისა და შრომისა, რომელიც მიმართული იყო ხალხის საკეთილდღეოდ და სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამხედრო უწყების მუშაობა მომავალში წავა იმ მიმართულებით, რომელიც თქვენ მიეცით მას თქვენი გამოცდილება და ცოდნა კი სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკას სახელმწიფო მოღვაწეობის პასუხსაგებ ადგილზე.

გენერალი **გედევანიშვილი.**

ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 მარტი.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

საფრანგეთის და იტალიის პოლიტიკურთა და კომერციულ მოღვაწეთა დელეგაცია შეიკრიბა მარსელში. მარსელსა და ბრიანჩონ-ულკს შუა რკინის გზის გაყვანის საკითხზე სათათბიროთ. მათ აზრათ აქვთ პირდაპირი გზით შეუერთონ მარსელი ტურინს.

„ჩიკაგო დეილი ნიუსი“ სწერს, რომ ლოიდ ჯორჯის პროექტი, გაუქმდეს იძულებითი ჯარში გაწვევა, გამოიწვევს წინააღმდეგობას საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და თვით გერმანიის მხრით. ფრანგები იმ აზრის არიან, რომ ძნელია ჯარის შეკრება მოხალისეთაგან, იტალიელნი კი გულახდილათ აცხადებენ, რომ მოხალისეთა შენახვა ძალიან ძვირათ ჯდება. ამერიკელები იმ აზრის არიან, რომ ყოველი კაცი მოვალეა ემსახუროს თავის ქვეყანას, სახელმწიფოს. მარშალ ფოშის პლანი. გერმანიის ჯარი უნდა შემცირდეს 200,000 კაცამდე, ინგლისელი ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ჯარში იძულებითი გაწვევით ეს რიცხვი 6,000,000 მდე გაიზრდება. საქმის გართულება ამ ნბრივ ყველამ ადიარა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ საკითხს გადასწყვეტს პირობები, რომელიც ეხება შეიარაღების შემცირებას. მოკავშირენი განსაზღვრავენ სხვადასხვა იარაღის მაქსიმუმს, რომელიც უნდა იყოლიოს თითოეულმა სახელმწიფომ. დიდ რიცხვად ჯარს, რომელიც კარგათ შეიარაღებული არაა, მცირე მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ომის წარმოებაში, რის დამმტკიცებელიცაა რუსეთის კამპანია.

ბრიუსელიდან ცნობაა, რომ საგარეო და ეკონომიურ საქმეთა პარლამენტარულმა კომისიამ შეიტანა პალატაში წინადადება საესებით დაამბრუნონ გერმანელების მიერ ბელგიიდან გაზიდული ქონება.

ბრიუსელმა სურვილი განაცხადა ეგმოიტის ციხე კოშკი გადასცეს ხალხთა ლიგას მის მთავარ ბინათ.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკა მოითხოვს გერმანიისგან... (დამახინჯებულია) 800 000,000. ეს წერილობითი მოსახენებელია ზარალთა ანგარიშებზე. ზეადო კონფერენციას.

ბონარ-ლოუმ თემთა პალატაში მოხსენება გააკეთა მუშათა საკითხზე. მან სთქვა, რომ არსებობს სამი მიმდინარეობა, რომელნიც ეშუქრებიან ნუშაობის წესიერ მსვლელობას. დამტკიცებულია შესახებ მას შეუძლია სთქვას, რომ სამუშაოს მიმცემთა წინადადება, რომელიც წარედგინა შრომის მინისტრს და მას, დამაკმაყოფილებელი და გონიერია. მას იმედი აქვს, რომ ეს პირობები მისაღები იქნება. მეორეს მხრივ მოლაპარაკება სწარმოებს რკინის გზელებთან და თუმცა მას ჯერ ჯერობით არ შეუძლია სისწორით იცოდეს მუშათა მოთხოვნილებანი და მთავრობის წინადადებანი, მას საჭიროთ მიაჩნია სთქვას, რომ მთავრობამ საბოლოოთ გადასწყვიტა დასტოვოს შრომის ქირა იგივე ამ წლის ბოლომდე. მუშები მოითხოვდნენ დამატებითი ქირას, რომელიც შეადგენდა 10,000,000 (გაუგებარია) თანხას, რაც რკინის გზის არსებულ მდგომარეობაში მეტათ მძიმეა. მესამე მხრივ, რაც შეეხება ქვანახშირის საკითხს, წარმოდგენილი იყო სამი მოხსენება. ამ მოხსენებაში სამთო მუშები მოითხოვდნენ ნაციონალიზაციას. შემდეგ ისინი მოითხოვდნენ შრომის ქირ-

ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ის მომატებას და სამუშაო დღის შემცირებას, 8 დან 6 საათამდე.

ᲒᲐᲚᲔᲨᲘᲕᲘᲫᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი, მარტის 20. რუსეთის კომ. პარ. მე-8 ყრილობამ კომუნისტურ ინტერნაციონალის საკითხის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია; ყრილობა ესალმება მე-3-მე ინტერნაციონალს და საგანგებით უფრთდება მის დებულებებს. რ. კ. პ. მთელის თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს მე 3-მე ინტერნაციონალის მიზნების განსახორციელებლათ. **ხარკოვი**, მარტის 20. გუშინ ჩვენმა ჯარმა სადგურ ბერეზოვკასთან შეუტია ვოზნესენსკის და ადესის შუა, სადაც ბერძნები და მოხალისენი იყვენ გამაგრებული. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ და გავაქციეთ ჩვენ დაგვრჩა 100 ტყვიისმფრქვეველი, ზარბაზნები, ჯავშნიანი მატარებელი, 7 ორთქმავალი, მრავალი სამხედრო მასალა და ცხენები. ხელში ჩაგვიგარდა 2 შტაბი. მოწინააღმდეგეს 500 კაცი დაეღუპა, ჩვენ კი 200 კაცი. მარტის 19. სამხედრო ცნობა ქერსონის მიმართულ. ბრძოლა გრძელდება. ვინიცის რაიონში მოწინააღმდეგე დამარცხდა. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ყუმბარები და 13 ტყვიისმფრქვეველები. ნაუფნი. მარტის 20. უნგრეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სოციალიზაციის სამინისტრო დაარსოს მრეწველობის სოციალიზაციისთვის მოსამზადებლათ. **კიევი**. მარტის 19. მადრიდში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა. მთავრობის წევრებზე თავდასხმა მოახდინეს. **მოსკოვი**. მარტის 20. რ. კ. პ. ყრილობის მეორე დღეს ლოზოვსკი ინტერნაციონალისტ ესდეკების სახელით მიესალმა ყრილობას. დღის წესრიგშია პარტიული პროგრამის საკითხი. მომხსენებლებია ბუხარინი და ლენინი. თავის მოხსენებაში ბუხარინმა სთქვა, რომ პროგრამა, რომელიც ეხლა შემუშავდება, უნდა იყოს ინსტრუქცია პარტიული მუშაობისთვის. პროგრამა უნდა იყოს მაგალითი საზღვარ-გარეთელ ამხანაგებისთვის. პროგრამამ უნდა მოგვცეს პროლეტარიატის დიქტატურის ანალიზი. სხვადასხვა შემთხვევებმა გვაჩვენეს რომ საბჭოები საერთო პროლეტარიატის დიქტატურის ფორმას წარმოადგენს. ლენინი თავის მოხსენებაში შეჩერდა პროგრამის სადავო საკითხებზე. ის წინააღმდეგია ბუხარინის განცხადებაზე რომ ფორმულა „ერთათვითგამორკვევა“ შეიცვალოს ფორმულით „თვითგამორკვევა მხოლოდ მშრომელ კლასიერ“. საზღვარ გარეთ მუშებს აშინებენ, რომ ბალშევიკებს სურთ ძალით და წითელი ჯარის ხიშტებით გაატარონ თავისი სისტემა. ძალით არ შეიძლება კომუნიზმის. (ყამოტოვებულია) პარტია ისახავს მიზნათ გლეხები ბურჟუაზიას დააშოროს და მუშათა კლასის მხარეზე გადაიყვანონ. კოოპერაციის შესახებ ლენინმა სთქვა, რომ კოოპერატივების კონტრ რევოლიუციონური მიდრეკილება უნდა მოისპოს. საკითხი ბურჟუაზიულ სპეციალისტების შესახებ გარკვეულათ უნდა გადაწყდეს. ისინი რომ ჩვენ აპარატში შემოვიერთოთ. ამისთვის უნდა გავიღოთ ᲔᲡᲮᲔᲠᲯᲚᲘ. ჩვენ უნდა მივცეთ მათ რაც შეიძლება უკეთესი პირობები ცხოვრებისთვის. ეს იქნება საუკეთესო პოლიტიკა. ლენინმა სთქვა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ბოლომდის შეიძლება მაშინ, როცა მართველობაში მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. ბოლოს ლენინმა სთქვა, ბურჟუაზია საბჭოებს არ გ ნუდევნი. ისინი თვით წავიდენ. პარტიის პროგრამაა იბრძოლოს უთანასწორობის მოსასპობათ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

დღეს, სალამოს 6 ს. დანიშნულია შეერთებული სხდომა საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის, ყველა რაიონულ კოლექტივების და ქალაქის საბჭოს ფრაქციისა, სადაც ამხ. დ. თოფურიძე გააკეთებს მოხსენებას რესპუბლიკის ფინანსიურ საკითხზე.

◆ **ყარაიაზის** გადმოსახლებულთა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც მიღებული აქვთ ყარაიაზში მიწა და სახლი: ვალდებულნი არიან პირველ აპრილისთვის აქ იყვნენ, სახლ-კარს ფლიდენ და სასოფლო მუშაობას ეწეოდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი მათ მიწას და სახლ-კარს გადასცემს ახლად მოსულებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ დასახლებას. გვარდიელები და ჯარისკაცები ვალდებულნი არიან დროზე შეგვატყობინონ, თუ ფრონტზე იმყოფებიან. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ სახლების შესაკეთებელი მასალა და სათესლე ხორბალი მიღებული მთავრობისაგან.

◆ **შრომის კომახარი** თფილისის გუბერნიისა იწვევს ყველა საავადმყოფო კასების გამგეობათა წევრებს კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება კვირას, 23 მარტს, დღის 9 საათზე კომისარიატის ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 8). დღის წესრიგი: 1) სოხუმში სანატორიუმის გახსნა თფილისში არსებულ საავადმყოფო კასების წევრთათვის, 2) ქალაქის საერთო კასასთან შეერთება 3) კომისარიატის პროექტის განხილვა საავთმყოფო კასების კანონის ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ და 4) მიმდინარე კითხვები.

◆ **მე 4 კამერული სადამო.** დღეს, შაბათს, კონსერვატორიის დარბაზში ქართ. სამუსიკო საზოგადოება მართავს მე-4 კამერულ კონცერტს ივ. სარაჯიშვილის, ი. ფიშბერგის (სკრიბკა) და ქართ. სამეს. საზოგადოების კვარტეტის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. პროგრამაში მ. ბალანჩივაძეს და დ. არაყიშვილის რომანსები.

◆ **თვითმართველობის მოხამხახურეთა კრება.** კვირას, 23 მარტს, დღის 10 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგება თფილისის თვითმართველობის მოსამსახურეთა კრება. დღის წესრიგი: 1) პროფესიონალური კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის, გფიცვის ბიუროს და საბჭოს აღმასრულებელი კომ. მოხსენება მომავალ გაფიცვის შესახებ. თუ ათ საათზე არ შეგროვდა დელეგატთა კანონიერი რიცხვი—მეორე კრება ინიშნება იმავე დღეს დილის 11 საათზე, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. ის პირნი, რომელნიც კავშირში არ შედიან საერთო კრებაზე დაშვებული არ იქნებიან. კავშირას წევრობას გამოარკვევს შესასვლელ კარებთან აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს, კრებას აუცილებლად დესწრონ.

◆ **ქალთა კრება.** ხვალ, 23 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, მესამე რაიონ. კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ქალთა საზოგადო კრება ავლაბრის მცხოვრებ ქალთა ორგანიზაციის დასაარსებლათ. სასურველია ამ კრებას დაესწროს ავლაბარში მცხოვრები ქალების რაც შეიძლება მეტი რიცხვი.

◆ **გამომცემელთა ხელმძღვანელთა** საერთო კრებაზე 19 მარტს დადგენილ იქნა, რომ მუშების ჯამაგირების მომატების საკითხი უნდა გაირჩეს ხელმეორედ, რომელსაც უნდა დაესწრონ გამომცემელთა 3 წარმომადგენელი.

◆ **სახურთალო.** 1 მარტს ადგილობრივ თეატრში გაიმართა სადამო თეატრისა და სამკითხველოს სასარგებლოთ. სულ შემოვიდა 4,720 მ., აქედან დაიხარჯა 2,535 მან., დარჩა 2,185 მან. თეატრისა და სამკითხველოს გამგეობები ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო სადამოს გამართვაში.

ᲥᲐᲑᲐᲗᲘ

23 მარტს, კვირას, დილით 10 საათზე სახალხო გვარდიის მესამე რაიონის შტაბის ბინაზე (ავლაბარში) შესდგება ამავე რაიონში ს. ს. დ. მ. პ. პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად არჩეული დროებითი საორგანიზაციო კომისიის წევრთა კრება.

— კვირას, 23 მარტს, სადამოს შვიდის ნახევარზე მე-4 ე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა მე-4-ე კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— შაბათს, სად. 7 საათზე, თავის ბინაზე (ოლდას ქ. 29) დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქ ისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საფინანსო კომისიის სასწრაფო სხდომა.

— კვირას 23 მარტს დილის 10 ს. მუშ თა კლუბის შენობაში (მიხეილის პროსპ.) დანიშნულია მეტყველთა („კოტენიკების“) პროფ. კავშირის წევრების საერთო კრება. გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ

20 მარტს შესდგა ქალაქის მოსამსახურეთა დელეგატთა ყრილობა, რომელმაც დადგინა 24 მარტიდან გამოცხადოს გაფიცვა. მოთხოვნილებაა: თებერვლის და მარტის ჯამაგირების დაუყონებლივი დარიგება. ქალაქის გამგეობა ჰპირდება 1 აპრილიდან დარიგებას. გარდაწყვეტილებას გაფიცვის შესახებ არ უერთდებიან: წყალსადენი, ტრამვაი, სასაკლაო და ზოგიერთი სხვა დარგებიც.

ᲛᲝᲮᲐᲚᲢᲔᲚᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ.

თფილისის ქართული სექციის სახალხო სკოლების მასწავლებლებმა 19 მარტის საერთო კრებაზე დადგინეს გამოუცხადონ თფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატების კრებას, რომ ისინი შეუძლებათ სცნობენ შეუერთდენ მოსამსახურეთა მიერ გამოცხადებულ გაფიცვას შემდეგი მოსაზრებებით: 1) ჩვენი დარმა რწმენით გაფიცვა დემოკრატიული საბჭოს წინააღმდეგ ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს საერთოთ და კერძოთ თვით ქალაქის მოსამსახურეთა ინტერესებს, რის ნამდვილი დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ეს გაფიცვა არ იყო მოწყობილი თფილისის პროფესიონალური ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოს მიერ; 2) ეს გაფიცვა არ არის მიზან შეწონილი მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენ დრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ქალაქის დემოკრატიული თვითმართველობა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველივე ზომას დებულობს, რომ დაკმაყოფილოს მოსამსახურეთა ეხლანდელი მოთხოვნილება და ეკონომიურათ უზრუნველყოს ისინი მომავალში. კრების თავმჯდომარე: გ. გოთგოლიანი. მდივანი: მ. ᲛᲐᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲐᲜᲝᲜ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

9 მარტს შრომის სამინისტროს მიერ მოწვეულ იქნა თათბირი, შრომის სასამართლოს კანონ-პროექტის გასარჩევათ.

თათბირს დაესწრენ, როგორც მუშათა, აგრეთვე მწარმოებელთა წარმომადგენელნი; მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა. გ. ერაძემ გახსნა რა თათბირი, თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შრომის სამინისტროს მიზანია შექნას ისეთი ნორმები, რომლითაც დაცულ იქნება შრომა, საჭირო გამომუშავდეს ის დამოკიდებულებანი, რომელიც დამყარდება მუშებს და მწარმოებელთა შორის.

სამინისტრო ამ კითხვების განხილვის დროს შეეცდება დაიცვას როგორც მშრომელთა ინტერესები, აგრეთვე ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა მდგომარეობის განვითარებას. სამინისტროს საჭიროთ მიაჩნია, რომ ასეთ მნიშვნელოვან კითხვების გადაჭრის დროს, როგორც არის, შრომის სასამართლო, მომრიგებელი კამერა, უნდა მოსმენილ იქნას აზრი, როგორც მუშების, ისე მწარმოებლების. ამით ჩვენ შეგვიძლიან ავიცდინოთ შეცდომები. დღეევანდელ პირველ კრებას თათბირის ხასიათი უნდა მიეცეს და გარჩეულ უნდა იქნას კანონ-პროექტები შრომის სასამართლოს და მომრიგებელ კამერის შესახებო.

მოხსენებელმა გოლდმანმა აღნიშნა, რომ მომრიგებელ კამერის არსებობა დაკანონებულ უნდა იქნას. ამ თათბირზე უნდა შეკიმუშაოთ ძირითადი დებულებანი შრომის სასამართლოსი და მომრიგებელ კამერებისა. საქმეები, რომლებიც უნდა გარჩეულ იქნას შრომის სასამართლოში, სამ კატეგორიად იყოფა. 1) ის საქმეები რომლებიც შეეხება ხელრეფერენდუმ (ბევრ ქვეს ეფარენდუმ) ასეთი სასამართლოები მიაჩნია მიზანშეწონილად, მხოლოდ დღევანდელ პირობებში მათი არსებობა შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ არ გვყავს ძლიერი კლასი ხელოსანი მუშებისა. მანვე აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ ფინანსიურ გაჭირვებას განიცდის და ასეთ სასამართლოების შენახვა კიდევ ზედმეტ ბარგათ დაიწვება სახელმწიფოსო. ვახნიანსკი (მეეარხნეთა წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ ასეთი სპეციალური სასამართლოები არ არიან ცხოველმყოფელნი, ამორჩეულ მოსამართლეებს არ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ არც ცოდნა, არც მოსამართლეთა პრაქტიკა და ხალხის თვალში არავითარი ნდობა არ ექნებათ ასეთ სასამართლოებსო. მუშების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ შრომის სასამართლოების საჭიროებას. წარმოების განვითარებისათვის საჭიროა, რომ ყოველივე კონფლიქტი შრომის და კაპიტალის შორის ირიგოდეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ. მუშები აღნიშნავდენ, რომ ის მწარმოებლები, რომლებიც ილაშქრებენ შრომის სასამართლოების წინააღმდეგ, არიან შინა მრეწველები და არა თანამედროვე კაპიტალიზმის წარმომადგენლენი. ბრაილოვსკი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სახელით მხარს უჭერს ასეთ სასამართლოების დაარსებას.. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი დემიდოვიც მხარს უჭერს.

მომრიგებელ კამერის არსებობამ დამტკიცა, რომ მათ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიათ. ხმის უმეტესობით გადაწყდა შემოღებულ იქნას შრომის სასამართლოები და მომრიგებელი კამერები. წინადადება მისცა ხმა ვახნიანსკიმ, ხანდანრომა თავი შეიკავა.

თათბირმა განიხილა აგრეთვე შემდეგი კითხვა: კონფლიქტის გადასაწყვეტათ აუცილებლათ უნდა მიმართონ თუ არა შრომის სასამართლოს? დაარსდეს ერთი სასამართლო ორ განყოფილებათ, თუ ცალკე იყოს მომრიგებელი კამერა. ხმის უმეტესობით გადაწყდა არ იყოს საგალდებულო საქმის გადატანა შრომის სასამართლოში.

ერთხმად დადგინეს შრომის სასამართლოს დადგენილება საგალდებულო იყოს ორივე მხრისათვის. რაც შეეხება იმ კითხვას, თუ როგორ უნდა მოეწყოს შრომის სასამართლოები, ეს საკითხი გაირჩევა შემდეგ სხდომაზე.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

19 მარტს შესდგა ადელხანოვის ქარხნის მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობის კრება. მოხსენება გააკეთა კავშირების საბჭოს სეკრეტარიატის წევრმა ი. ბადრიძემ პროფესიონალური კავშირების ყრილობის შესახებ და საბჭოს რეორგანიზაციაზე. ყრილობის შესახებ გამგეობამ ერთხმად დაადასტურა კავშირების ცენტრალური კომიტეტის ყოველივე ნაბიჯები. იქონია რა მსჯელობა მეორე საკითხზე, კრებამ დადგინა შემდეგი: ამ კვირაში იქნას მოწვეული ყველა განყოფილებების წარმომადგენლების კრება, სადაც იქნება მსჯელობა რეორგანიზაციის და საბჭოში გასაგზავნ წარმომადგენლების შესახებ. შემდეგ კი მოწვეულ იქნება საზოგადო კრება.

ᲡᲐᲐᲓᲒ.-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

თელავის მაზრა. თქმულებაა: არ ცოდნა, არ ცოდვაო, მაგრამ რასაც „სოფლელი ამხანაგი“ „ერთობის“ მე-68 ნომერში სწერს თელავის მიმღებ კომისიაზე, ეს არამც თუ ცოდვაა, დანაშაულობათაც უნდა ჩაითვალოს. ის ამბობს: „მოვიდა სამინისტროდან დანიშნული განსაკუთრებული კომისია და ადგილობრივი სამეურნეო-მოქმედო სამართველოს შეუთანხმებლათ აწარმოვა საქმეო“.

ეს არ არის მართალი. როდესაც კომისია მივიდა თელავში საქმის დაწყებამდე პირველად სამინისტროს ადგილობრივ სამმართველოს სრულიად დამოუკიდებლად დაიწყო გაწესრიგება სადავო კითხვების მემამულეთა შორის; თანაც მას უნდა ნორმის გადადება აგრარულ რეფორმათა განყოფილების დაუკითხავათ აწარმოვოს, ასეთი მოქმედების უფლება კი ჯერ მათს არ აქვს მინიჭებული და როცა აგრარ. რეფ. განყოფილებისაგან მან მიიღო წინადადება, რომ მას არ ემოქმედა დაუკითხავად, იმის მაგიერ, რომ შეცდომა გაესწორებინათ, გაიბუტენ და კომისიას ადარ მისცენ საშუალება რომ მათთან შეთანხმებით ეშუშავა. მიუხედავათ ასეთი მოქცევისა კომისია მუდამ აბარებდა ცნობებს. ვის დაურღვევია დემოკრატიული პრინციპი? ეს მკითხველმა გასაჯოს.

მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ სოფლელი ამხანაგი ფაქტებს ამახინჯებს და ამბობს, რომ გასული წლის კომისიების მუშაობის დროს ყველა კომისიებში თავის წარმომადგენელი ყოველთა და ეხლა გარეშე პირები აწესრიგებენ საქმეებსო.

განა ეს გარეშე პირები არ იყო მაშინაც რომ მუშაობდენ თელავის მაზრაში? და თუ ამ გარეშე პირებს არა, დღესაც არ იქნებოდა თელავის მაზრაში მიწის რეფორმა, არამც თუ გატარებული, დაწყებულიც. განა მოსულმა ძალებმა არ იხილა მრავალჯერ თელავის მაზრის მცხოვრებლები განადგურებისგან? ეს გარეშე ძალები არ იყო, რომ ყველა სოფლებში აწყობდა დემოკ. ორგანიზაციებს და ახამდა ძაფს ორგანიზაციათა შორის? ეხლა ვიკითხოთ, რა გააკეთა ადგილობრივმა ძალებმა? მხოლოდ ლაპარაკობდენ და მცირე გამონაკლის გარდა, ერთი გადამჭრელი ზომებიც არ მიუღიათ იმ ბოროტებათა წინააღმდეგ, რომლითაც მაზრა ავსებულია, თუმც რეფორმა მთელი თავის სიმძიმით თელავის მაზრაში, სოფლელი ამხანაგის დაწუნებული მოსული ძალებით ჩატარდა და შედარებით სხვა მაზრებზე არა ნაკლებათ. მხოლოდ, სამწუხაროდ, კრიტიკოსი ვერ ხედავს, რომ დღეს ჩამორთმეული, ვენახით გაშენებული მამულები, მოუვალობით ნადგურდება და პატრონი არა ყავს. სოფელ შილდაში, ანდრონიკაშვილისეული მამული მწყემსებმა გაქირავებული მოიჯარადრედგან და რაცა გარშემო მესაკუთრეების ვენახები მშვენიერად მუშადგება, ის კი ცხოველების საძოვრათ გამხდარა. ამას სოფ. შილდის ამორჩეულები და კომისარი დადასტურებს. სოფელ ამხანაგს, თავის წარმომადგენელის საშუალებით ისიც ეცოდინება, რომ წასულ წელს კომისიის მუშაობა წინანდლის რაიონში დიდ გაუგებრობას ბადებდა და აგრარული განყოფილება იძულებული გახდა ეს შეცდომები ეხლა გაესწორებინა, ალბათ, ისიც ეცოდინება, რომ კომისია, რაცა მემამულეს ზედმეტი ვენახიანი მამული ჩამოერთმეოდა და ფონდში გადასულიყო, ცარიელ მიწაზე უცვლიდა მეორე მემამულეს, მაგრამ ამას სოფელი ამხანაგი შეთანხმებულ მუშაობას უწოდებს და ზომების მიღებას არ საჭიროებს.

ახლობელი.

რკინის გზაზე

(მოძრაობის უფროსის საყურადღებოდ).

ბევრი დაწერილა გაზეთებში რკინის გზის ზოგ მოხელეთა უკანონო მოქმედების შესახებ, მაგრამ არ იქნა და ბოლო ვერ მოეღო მათ უპასუხისმგებლო მოქმედებას.

19 მარტს დილით, ბორჯომიდან მომავალ მატარებლით № 20 ბინდოდა წავსულიყავ თფილისში. მატარებლის სად. გორში მოსვლამდე გამოვედი ერთი საათით ადრე. ბილეთის კასასთან აფარებელი მგზავრები იყვნენ რიგში ჩამწკრივებული. ჩავდექი მეც. მატარებელი სად. სკრიდან გამოვიდა, გორში მეტოდე წუთს. კასა დაკეტილია. რიგში მდგომი მგზავრები ლესავენ, შიშობენ მგბილეთე—ბილეთების მიყიდვას ვერ მოასწრებსო. მგზავრებთა შორის არიან ისეთებიც, რომელნიც მეორე დღეა ელოდებიან ბილეთს, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ მატარებლებზე № № 2, 4 და 12 ᲒᲣᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡ გამო ან სრულებით არ იყიდება ბილეთები, ან და თუ გაიყიდა, ისიც განსაზღვრული რიცხვი. მატარებლის სად. გორიდან გასვლამდე რჩება სულ რვა—ათი წუთი და იღება კასა, იწყება ბილეთების გაყიდვა, მაგრამ ისე ზანტათ, რომ თითო ბილეთს უნდება რამოდენიმე წუთს. მატარებელი უკვე სადგურში დგას, რიგში კი 40—50 მგზავრი კიდევ არის და ელოდებიან ბილეთებს. მეორე ზარის ხმა მოისმა. რიგი ირღვევა, უბილეთო ხალხი გარბის მატარებლისკენ და შედიან ვაგონებში, ნაწილი კი რჩება კასასთან და ელიან ბილეთებს. დაჭკრეს მესამე ზარი. მატარებელი დაიძრა. ბილეთები მაინც იყიდება; მესამე ზარის შემდეგ ნაყიდ ბილეთით გარბის ერთი ქალი მიმავალ მატარებლისაკენ და აპირებს, არ გაუშვათ, მატარებელს მოჰყვება ქვეშო“, მაგრამ ქალი შემთხვევით გადარჩა უბედურებას და ძლივს-ძლიობით ადის მატარებელში.

ბევრი მგზავრთაგანი და მათ შორის მეც ვრჩებით, ბევრი უბილეთოთ და ზოგი ბილეთებით ხელში. ბილეთებიანი მგზავრები მოდიან სადგურის უფროს მორიგესთან, უხსნიან მდგომარეობას და სთხოვენ ბილეთებს გაუკეთოს შესაფერი ნიშანი, რომ მეორე მატარებელზე გამოადგეს. უფროსი მორიგე უხსნის, რომ მეორე მატარებელზე ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ბილეთები, „პლაცკარტი“ კი ახალი უნდა შეიძინონ.

უკმაყოფილო მგზავრები გაჩენის ბედს იწყევლიან და ბევრი უმაწყრი სიტყვები ისმის ჩვენი მთავრობის და მის კანონებზე, ერთი—იმიტომ, რომ 5 მან. ნაყიდი „პლაცკარტი“ უქმდება, მეორე—კიდევ უნდა შეიძინონ „პლაცკარტი“ ათ ან ოც მანეთიანი, მესამე—ხელმეორეთ უნდა ჩადგენ იმ წყეულ რიგში და ელოდონ ბილეთს თუ „პლაცკარტს“ ალბათ უწყალ, ვინაიდან ხშირათ მატარებლებზე № 2 და 12 ᲒᲣᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡ გამო ბილეთები სრულიად არ იყიდება.

შემდეგ; მე პირადათ მივედი სადგურის უფროს მორიგესთან და მივუთითე ბილეთების გამყიდველის დაუდევრობაზე. მან მიპასუხა: „რა ვქნათ, ხშირად ასეთი მოვლენა სად. გორში, მაგრამ ვინ არის ყურადღების მიმქცევიო“.

ყოველივე ზემოხსენებული და მგზავრების ასეთი უკმაყოფილება და მოსალოდნელი უბედური შემთხვევაც, გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ ბილეთების გამყიდველის თავის მოვალეობის შეუსრულებლობამ და უკანონო მოქმედებამ (მესაზე ზარის შემდეგ ბილეთების გაყიდვამ). დროა მიექცეს ჯერ-ჯერობით ყურადღება ვისგანაც ჯერ-ჯერ რკინის გზის ზოგ მოხელეთა ასეთ დაუდევრობას.

ვ—ო.

ს.-დემ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

სახილავი (მარნის ს.ზ.). 14 მარტს სოც.-დემ. კოლექტივმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ერობის წვრილ ერთეულის მოწყობა, 2) სბოროიავკკის ხელ-ტყის მხერხავი ქარხნის მუშების წამოყენებული ჯამაგირის მომატების მოთხოვნილება, და 3) სამკითხველოს ბინა. პირველ კითხვის განხილვისას გამოირკვა, რომ ერობის ერთეულის მოწყობლობით, სოფელში ბევრი საზოგადო საქმეები, მათ შორის განსაკუთრებით მეურნეობა, ფერხდება, რის გამო დადგენილ იქმნა; დაუყონებლივ ხელმეორეთ გაეგზავნოს საგანგებო პირი სამაზრო ერობის გამგეობას, რათა უკანასკნელმა დააჩქაროს აქ ერობის მოწესრიგება. მეორე კითხვაზე გამოირკვა რა, რომ მოთხოვნილება წამოყენებულ ყოფილა კოლექტივის უცნობლათ, რომ ამავე მოთხოვნილების გამო მოდის მოლაპარაკების გასამართავათ შრომის კომისარი, დადგინეს: ეცნობოს ამხ. მუშებს, რომ ამნაირ დამოუკიდებელ გამოსვლებს მავნე დეზორგანიზაცია შეაქვს მათ რიგში და დაუშვებელია, ხოლო შრომის კომისრის მოლაპარაკებას დაესწროს სამი კოლექტივის წევრი. იქვე იქნა აღნიშნული, რომ ერთის მხრით მუშების მდგომარეობა ცუდია, და ამავე დროს არც ქარხნისა უკეთესია, მხოლოდ ახლო მომავალი ქარხნის კი უკეთესი იქნება, რადგან ხეების მოზიდვა უკვე მოწესრიგდაო. მესამე კითხვაზე გამოირკვა, რომ სახლი სადაც სამკითხველოა და საკრედიტო ამხანაგობა მოთავსებული, გაყიდულია და მყიდველი მოითხოვს დაუყონებლივ დაცლას, (როგორც ამბობენ გაყიდულა სამკითხველოს და საკრედიტო ამხანაგობის უცნობლათ). კოლექტივმა დადგინა; დროებით გამოყოს თავის წრიდან კომისია, რომელმაც მიიღოს ყოველგვარი ზომები საკრედიტო ახანაგობის გამგეობასთან ერთად, რათა ეს კულტურულ გაბმულობა ᲐᲮᲚ. ᲘᲜ. თალგამაძე. განხილულია ასეთივე „იაჩეიკები“ და მეკადინეობა მოიწყოს მთელ რაიონში. იგივე სახალგადოების პარტიულმა კრებამ დადგინა, რომ კოლექტივის მდივანმა ამხ. ვ. მთიულიშვილმა მიაწოდოს ხოლმე პარტიულ ორგანოს ყოველი ცნობა პარტიის ცხოვრებიდან.

ვ. Მ.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

თფილისი. 8 მარტს შესდგა ახლათ არჩეულ სალახთა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრალურ პროფ. კავშირისა, 2) არჩევა პრეზიდიუმისა, 3) მენაწილეთა პროფ. სექციის მოთხოვნილება, 4) ძველი თავმჯდომარისაგან იარაღის ჩამორთმევა.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ხერხეულიძემ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ზოგიერთ ცენტრალ. პროფ. საბჭოს წევრებს ჰქონდათ აზრათ პროფ. კავშირების კონფერენცია შემდგარიყო ბაქოში, მაგრამ ცენტრალურმა პროფ. საბჭომ არ სცნო ეს კანონიერათ და გადასწყვიტა კონფერენციის მოწვევა ქ. თფილისშია. სალახთა პროფესიონალური კავშირი ერთსულოვნათ იზიარებს თფ. ცენტრალურ პროფ. კავ-

შორის აზრს და უკეთს მას მხარს.

კრებამ არჩია აღმასრულებელი ბიუროს 5 წევრისაგან. თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. ხერხეულიძე, მის თანაშემწეთ მალაქია, მდივნათ პ. ბოკერია, ხაზინადრათ მუსერიძე და წევრათ რაზმაძე.

მენაწილეთა პროფესიონალურ სექციის მოთხოვნილება სცენეს კანონიერათ და გადასწყვეტეს ეცნობის მეყალბეთა პროფესიონალურ კავშირს.

იარადის ჩამორთმევა ძველი თავმჯდომარისაგან კანონიერათ სცენეს, რადგანაც იარაღი კავშირის კუთვნილება. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაეკალა აღმასრულებელ ბიურს. პ. ბოკერია.

საზოგადოება „კახეთი“. საზოგადოთ წარმოების შემცირება-შეფერხებამ ამ საზოგადოებაზედაც იქონია გავლენა 80—100 მუშის მაგივრად დღეს 40 მდე კაცი მუშაობს. უმუშევართა რიცხვს ამ დარგის უმუშევრებიც მიემატნენ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა წარმოებისადმი დამოკიდებულება, მისადმი პატივისცემა და მოვალეობის პირნათლად შესრულება, თანდათანობით მტკიცდება მუშათა შორის, თვითეული მუშა ხელს უნდა უწყობდეს წარმოების აყვავება-გაფართოებას. ამ აზრის შეკნაში და ბევრ მაგივ მიმართულების შემცირებაში (როგორც არის სიმთვრალე, სიზარმაცე და სხვა) დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ მუშათა კომისიებს და საერთოდ პროფესიონალურ კავშირს. მუშათა კომისიები მიუხედავთ მრავალ მხრივ დაბრკოლებისა და შეუგნებელ მუშების წინააღმდეგობისა გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ მათ წინააღმდეგ ერთი მხრით, მეორე მხრით ახლად არჩეულ გამგეობის პოლიტიკასაც უნდა ხაზი გავუსვათ, რადგან ის უფრო დემოკრატიული, ვიდრე ძველი გამგეობის, ახალი გამგეების პოლიტიკის წყალობით, მუშები პოულობენ მათთან საერთო ენას, წარმოების საკეთილდღეოთ მიმართულს, ძველმა კი სულ დაამორა ამ აზრს ისინი.

საქმე იმაშია, რომ ძველი გამგეობა ე. პაატაშვილის მეთაურობით სრულებით არ უწევდა მუშათა კანონიერ მოთხოვნილებებს ანგარიშს, (მაგალითად, ჯამაგირებს, საექიმო დახმარებას და ს.ტ.) არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ ეხრუნათ მუშათა პირობების გაუმჯობესებისათვის, როგორც კოოპერატივის წარმომადგენლებს, რის გამო მათი მტკიცება, რომ ეს საზოგადოება კოოპერატივია და პატივისცემით მოეპყრითო, მუშებში სიცილს იწვევდა, დღეს კი გაეიმება შეუცვალა, ვიმეორებთ, შეიცვალა ახალი გამგეობის წყალობით, რომელიც შეძლებისა და გვარათ ცდილობდა მუშა მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესებას. მაგალითისათვის საკმარისია უკანასკნელი მომატების წყენება მუშათა მიერ 50 პროც. ცხოვრების გაძვირების გამო, რომელიც გამგეობამ უყოყმანოთ მიიღო და რომლის გამო ხუშები 1230 მ. და მოსამსახურეები 1380 მ. ლებულობენ. ამგვარად წესრიგის დამყარებას და მუშა-გამგეობის დაახლოებას ხელი შეუწყო ახალი გამგეობის პოლიტიკამ, რაც თავდებია წარმოების აყვავება-გაფერადების.

არსენ თოდრია.

საქართველოს ტელეგრაფიკის გაერთიანება

(ციკრე შენიშვნა)

ჩვენ პატარა რესპუბლიკას დიდი რუსეთის ბატონობის დროიდან დარჩა სამი—ერთი მეორეზე დამოუკიდებელი—ტელეგრაფი: მთავრობის, სახალხო რკინის გზის და კახეთის რკინის გზის.

ამ ტელეგრაფებს აქამდის შერჩათ თავიანთი სამმართველოები, მოსამსახურეთა ძველი შტატები და სხვ., რაც იწვევს ხაზინისათვის აუტანელ ხარჯებს.

ამ ნაკლის გასასწორებლათ თფილისის ოლქის ფოსტა ტელეგრაფის უფროსმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ყველა ეს ტელეგრაფები გაერთიანდეს და გადაეცეს ერთ უწყებას.

ხსენებული ოლქის უფროსი იფიციალური ცნობებით ამტკიცებს ასეთი გაერთიანების სარგებლობას და საჭიროებას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ისე მთავრობა თანაგრძნობით შეხვდებიან ზემოხსენებულ შუამდგომლობას და ამ გზით სახელმწიფოსათვის ერთ უსაჭიროეს დარგში მაღე მოახდენენ საესურველ გაერთიანებას.

შინაური.

პროვინცია

ზუგდიდი. 11 მარტს, შეიდგა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება. სხდომა გაიხსნა მ. კობერიძის თავმჯდომარეობით; დღიური წესრიგი: 1) კომისიების არჩევნები; 2) სასაფლაოს ეკლესიის გაკეთება და სანიტარული გადასახადი; 3) ქალაქის მამულების დამუშავება ქალაქის თვითმართველობის მიერ; 4) სხვადასხვა დაწესებულებებში წარმომადგენელთა არჩევნები და 5) საგაჭრო სამეურნეო დეპუტატების არჩევნები.

მცირე კამათის შემდეგ, არჩეულ იქნენ ხმოსნები შემდეგ კომისიებში: 1) სასკოლო, 2) საამშენებლო, 3) მედიკო-სანიტარულ, 4) იურიდიულ, 5) სასურსათო, 6) შემფასებელი, 7) საადგილ მამულო, 8) ბინათა მომრიგებელ, 9) ადმინისტრატიულ, 10) შრომის დაცვის, 11) საბიუჯეტო-საფინანსო, 12) სარეგისტრო და 13) ქუჩების სახელების დამრქმევ კომისიებში.

სასაფლაო ეკლესიის გაკეთების და სანიტარული გადასახადის შესახებ მოხსენება გააკეთა მ. კობერიძემ, რომელიც საბჭომ მოიწონა და ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცა და დაეკალა ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ გადადგას უკანასკნელმა შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯები ზემოხსენებულის სისრულეში მოსაყვანად; დაეკალა აგრეთვე იმავე გამგეობას, თანახმათ მ. კობერიძის მოხსენებისა, ეფიქრა ბაღ-ბოსტნეულობის ფერმის ქალაქისათვის ადგილის ამოჩემებაზე.

ქალაქის მამულების (ნაწილის) თვითმართველობის მიერ დამუშავების შესახებ, მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავის მოადგილე ბ. ჯაფარიძე და აცხადებს, თვითმართველობამ განიზრახა თავის მამულების ნაწილის მაინც თვითონვე დამუშავება, რომელშიც მოყვანილი იქნება პური, ქერი, სიმინდი და ბოსტნეულობა, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთესს შემოსავალში ქალაქს მივაწოდოთ ჩვენი პური და ისეთ დაწესებულებებს, როგორც არის ქალაქის საავთომყოფოები და სხვა—საღარიბოსტნეულობათ. გარდა ამის ქალაქის სალაზარეთაც შემოვა ერთგვარი თანხა და ბოლოს წარმოადგინა ხარჯთ-აღრიცხვა. საბჭოს სხდომამ სიხარულით გამოთქვა ასეთი საქმის ინიციატივისათვის და ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცა და დაადგინა: იმ პირს, რომელიც იქნება მოწვეული ამ მიზნის განსახორციელებლად მიეცეს თვეში ჯამაგირი 1000 მან. და 5 პროც. ბოსტნეულობის წმინდა შემოსავლიდან.

წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: 1) ვაკეთა გიმნაზიაში, პედაგოგიურ საბჭოში—მ. კობერიძე, სამეურნეო კომიტეტში—დ. ხელიკაძე; 2) ქალთა გიმნაზიაში, პედაგოგიურ საბჭოში—რ. გაგუა, სამეურნეო კომიტეტში—ა. ტერსტეფნოვი; 3) სემინარიაში პედაგოგიურ საბჭოში—მ. კინწურაშვილი და სამეურნეო კომიტეტში—მ. ბოგიტიდი. საგაჭრო-სამეურნეო დეპუტატებათ საბჭომ აირჩია: 1) ს. გ. იასამანოვი, 2) გ. კაპანაძე, 3) ხუბულური და 4) ჩაჩანიძე. ვალიკო.

სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემოწირულებანი: თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო: 1, ფოთის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობისგან სამოცი (60) მანეთი; 2, სოფ. ჭინეთის საზ. შოსმარ. კოოპერატივ „სინათლისგან“,—თავ. ჯდ. მდივ. ლეკუაძის მიერ გამოგზავნ ლი ასი (100) მანეთი; 3, ვაჩნაძიანის საკრედიტო საზოგადოებისგან ეკატ. ლევანის ასულის მაჭავარიანის ხელით რვა ასი (800) მან.; 4, განსვენებული პროფ. იოსებ ყიფშიძის მშობლებისგან სამასი (300) მან.; 5, ქ. ელენე ბაბულაძეგან, განსვ. პროფ. ი. ყიფშიძის ფონდის სახელობისათვის ასი (100) მან.; 6, ქ. ნ ელენე ალექსანდრეს ასულის ბაბულაძის მიერ შეგროვილი განსვ. ექიმ ალექსანდრე დავითის ძის ციციშვილის სახელობაზე სტიპენდიის ფონდის დასაარსებლად ოთხი ათას ხუთასი (4.500) მან. 7, სოფ. დიდი წეროვანის კოოპერატ. „წარმატებისგან“, ნინო ზაქარიას ასულის არსენაძის ხელით ცხრაას ოთხმოცდა თერთმეტი მანეთი და 44 კ. (991—44).

8, ძმათა ივანიაშვილებისაგან (სიკო, ივანე და სიმონ) განსვენებული ძმის სოლომონ ივანიაშვილის სახელის აღსანიშნავად ათასი მანეთი (1000) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის.

უნივერსიტეტის გამგეობა დიდ მადლობას სწირავს შემომწირველთა.

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება მიბოძეთ გაზეთ „ერთობის“ საშუალებით სიმართლე ვაუწყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ.

საქმე შემდეგშია: სხვათა შორის „სახალხო საქმეს“ 26 თებერვლის 1919 წ. № 466 ში მოთავსებულია წერილი სათაურით „არჩევნები სოფლად“, სადაც ავტორი ამ წერილისა მეუბნა. მეც მე გახლდით საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად გაგზავნილი ს. ს. დ. მ. პ. ც. კ. სხვათა შორის ზაგერისში და კოჯორში. საზოგადოთ, როგორც სხვაგან, ისე ზაგერისშიც გლეხები ჩემ ახსნა განმარტების ყოველივე საპირბოროტო კითხვებზე ხალისიანად ყურს უგდებდნენ და თავის მხრიდან ბევრ კითხვებს მაძლევნენ. საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ ჩემი იქ ყოფნის დროს არ მიგრძვნია გლეხების მხრიდან ჩემი იქ „ძალად არ ჩაგდება“, როგორც ამას ზევით დასახელებული წერილის ავტორი სწერს; ვითომც ვანო დოლეფულს მათზე ეწოოს და თან ეთქვას: „ჩვენი მუშათა პარტიის წარმომადგენელი—დღეს აქ ძალად არავინ ჩაგდო და ფედერალისტს გარს ეხვევითო“. ეტყობა ამ წერილის ავტორი ძალიან ახალგაზრდა უნდა იყვეს, რომ ასეთი გატაცებული სიხარულით აღნიშნავს ვითომც და ჩემი იქ „ძალად არ ჩაგდებას“.

შემდეგ ამისა, რაც უმთავრესია, მე გახლდით კოჯორში და სხვათა შორის შეგვარე კომისართან, რომ მეკითხნა საარჩევნო ყუთი იდგა კოჯორში და იყოთ არა მოწყობილი საარჩევნო კომისია, რაზედაც კომისარმა გაიკვირა და მითხრა, რომ არავითარი ყუთი და კომისია არ არის კოჯორშიო. და თანაც შემომთავაზა, რომ ხალხს ახლავე თავს მოვუყარ თუ გნებავთო. მე, რასაკვირველია, ცარვა უარი ვუთხარი, რადგანაც ეს ადმინისტრაციის საქმე არ იყო და მოვახსენე: მე თითონ მოვახერხებ ამას მეთქი. წერილის ავტორი კი სწერს: „ბაგრამ ეს არ ყოფნით და თავის სასარგებლოდ აძალებენ მუშაობას კომისრებსაც ქ. კოჯორში კომისარს, კაკაბაძის მიერ გაგზავნილმა პროპაგანდისტმა, მთავრობის სახელით მოხთხოვა აიძულებინა მცხოვრებნი პირველი ნომრისათვის მიეცათ ხმა“.

ეი სადამდის მიდის ამ წერილის ავტორის ეტყობა ახალგაზდური გატაცება, რომ ამისთანა სიცრუესაც არ ერიდება, რომელიც არავითარ საბუთზე არა აქვს აშენებული.

„სახალხო საქმეს“ კი ვერჩევდი ნაკლებ ალაგს უთმობდეს თავის ფურცლებზე ცრუ ცნობების მიწოდებელს და ყოველივე ყურ წამოკრულ ამბების გაზეთის ფურცლებზე გამოქმნელს, ვინაიდან ეს უფრო მეტ სახელს და პატივს შეძენს მის პარტიას, ვინემ ცრუ ცნობების მიწოდება და პორიბის წარმოება.

ი. შუბაშვილი.

ანგარიში

ყვირილა-შორაპნის ს. დ. კომიტეტისა 28 დეკ. 1918 წ. მარტის პირველამდის 1919 წ. კასაში შემოვიდა შემდეგი თანხა:

ყოფილი კომიტეტის ხაზინადარ გ. ...ისგან 500 მ., ...ეგან 100 მ., შემოწირულება ამხ. ვ. ...ისაგან 50 მ., ბელგორეულ ამხანაგებისაგან საარჩევნო ბიულეტენების დასაბეჭდი 200 მ., შემოწირულება ამხ. ივ. ...ელისაგან 28 მ., შორაპნის ქვეკოლექტივისაგან გ. კაპანაძის ხელით სწევრო გადასახადი 300 მან., ძირულის ორგანიზაციიდან, საწევრო გადასახადი და ერთდროული დახმარება 79 მ., შორაპნის კოლექტივიდან საწევრო გადასახადი 200 მ., შემოწირულება ყვირილა-ახალგაზრდა მარქსისტთა მიერ 300 მ. რ. გზის „იაჩეიკიდან“ საწევრო გადასახადი ივ. ...ეაძის ხელით 228 მ. 60 კ.

თებერვალი: შორაპნის კოლექტივიდან საწევრო გადასახადი ამხ. ვ. თუთარაშვილის ხელით 220 მ. სულ 2395 მ. 20 კ.

გასავალი:

1918 წ. დეკემბერში: ა. ა—ძეს სტამბის ვალში სხვადასხვა დროს დაბეჭდილ ბიულეტენებისა 500 მ., დეპეშა კონტრალურ კომიტეტს, დეპეშა ბონში 30 მ. 50 კ., კრახმალი განცხადებების გასაკრავად 3 მან., ორი ცალი ჩეკების წიგნაკი 5 მ.

იანვარში: ბ. კ—ძის წიგნის მაღაზიის 5 ცალი რვეულის ფასი 25 მ., ჯამაგირი კომიტეტის საქმის მწარმოებელს 300 მ., დეპეშა ცენტრალურ კომიტეტს 11 მან. 50 კ., ოთხი თვის საკორესპონდენციო ბინორარი 120 მ., სხვადასხვა ხარჯები, 18 იანვრის ოქმის თანახმად, ამხ. ილ. ბ—ძის მიერ წარმოდგენილი კვიტანციებით და საბუთებით 69 მ., საჩხერის კოლექტივს წერილი, ფოსტის ხარჯი 60 კაპ., ამხ. ვ. გ—ძეს გზის ხარჯები 300 მ., კომიტეტის საქმის მწარმოებელს ჯამაგირი იანვრის თვისა 300 მ., მერვე პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატს გზის ხარჯები 300 მ.

თებერვალში: ამხ. ს. ფერაძის დაკრძალვაზე მუსიკის ხარჯი 30 მ., ფოსტის ხარჯები ოთხი კვიტანციით ნაჩვენები 18 მან 60 კ., კომიტეტისთვის გაზეთი „ერთობა“, „ბორბა“ 30 მ. სულ 2043 მ. 20 კ. კასაში დარჩა 353 მ.

ყვირილა-შორაპნის ს.-დ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მეტრეველი. კომიტეტის ხაზინადარი რ. კეკელიძე.

განცხადებანი

12 მარტს სადგ. ნატანებსა და ფოთს შუა ამომაცალეს საფულე, რომელშიც მჭონდა 140 მ.ნ. და შემდეგი დოკუმენტები: პირადობის მოწმობა, მიმოსვლის მოწმობა რკინის გზაზე 28 მარტამდე, და იპოლიტე თენიეშვილის პირადობის მოწმობა ბაბვის კომისრისაგან მიცემული ერთი წლის ვადით. ჩემი აღრესი ფოთი, კაფე-რესტორანი დიმიტრი გვიმბრაძეს ჩემთვის გადასაცემთ აბეხალომ თენიეშვილი.

მე ვლადიმერ სამხონის ძე კორძაძემ

დავკარგე

ატესტატი მოცემული ქუთაისის პირველ ექვს კლასიან სამოქალაქო სასწავლებლიდან. მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი გოგოლის ქუჩა სახლი № 64.

(1—1)

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

12 მარტს ... ...